

## ბანკების საქმიანობის ძირითადი ასპექტები, პრობლემები გლობალური ეკონომიკის პირობებში

**ბესარიონ ნაყოფია**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,  
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი  
<https://orcid.org/0000-0001-9017-3658>  
[besarionakopia@yahoo.com](mailto:besarionakopia@yahoo.com)



### რეზიუმე

გლობალური ეკონომიკის პირობებში საბანკო სისტემის განვითარების ახალი ფინანსური პროდუქტებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების მზარდი ნაკადის მკაცრი ბანკთაშორისი კონკურენციისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის მუდმივი ცვალებადობის პირობებში გადარჩენის აუცილებლობა ბანკებს აიძულებს სიღრმისეულად გადახედონ თავიანთი საქმიანობის მიმართულებებს. მათ შორის, განსაკუთრებით ახალ, თანამედროვე ტექნოლოგიებს.

ბანკებში მართვის ისეთი სისტემებია ჩამოსაყალიბებელი, რომელიც გაითვალისწინებს ბანკზე მოქმედ ყველა ფაქტორს, ანუ ბანკის მართვის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს სისტემური, კომპლექსური მიდგომა, რომელიც საბანკო ორგანიზაციას განიხილავს არა მარტო რთულ სისტემად თავისი შინაგანი საორგანიზაციო სტრუქტურით, არამედ როგორც ეკონომიკურ სუბიექტს, რომელზედაც გავლენას ახდენს მრავალი გარე ფაქ-

ტორი, და, რომელიც უფრო გლობალური ეკონომიკური და სოციალური სისტემების განუყოფელი ნაწილია.

**საკვანძო სიტყვები:** საბანკო სისტემა; ბაზელის კომიტეტი; სავალუტო ურთიერთობები; საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკთაშორისი გადარიცხვები; მაკროეკონომიკური წონასწორობის გრადუალისტური კონცეფცია;

**ციტირებისთვის:** ნაყოფია ბ. ბანკების საქმიანობის ძირითადი ასპექტები, პრობლემები გლობალური ეკონომიკის პირობებში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №3, 2022 წ. გვ. 43-49.

## THE MAIN ASPECTS OF THE ACTIVITIES OF BANKS, PROBLEMS IN THE CONDITIONS OF THE GLOBAL ECONOMY

**Besarion Nakopia**

Doctor of Economic Sciences,  
Professor of Tbilisi University of Humanities,  
full member of Georgian Academy of Economic Sciences  
<https://orcid.org/0000-0001-9017-3658>  
[besarionakopia@yahoo.com](mailto:besarionakopia@yahoo.com)

### RESUME

In the conditions of the global economy, an increasing flow of new financial products and technological innovations in the development of a banking system, the need to survive in a face of a fierce interbank competition, and constant changes in the financial services market force banks to deeply consider their areas of activity. Among them,



### ძირითადი ტექსტი

გლობალური ეკონომიკის პირობებში ბანკების საქმიანობის შედეგების შეფასება, საბანკო მენეჯმენტის ეფექტიანი მეთოდების ანალიზი და დამუშავება, საბანკო ინსტიტუტების სტრატეგიის განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს საბანკო საქმეში დაგროვილი ერ-

especially new, modern technologies.

Banks should create management systems that take into account all factors affecting a bank, meaning that banking management should be based on a systematic, integrated approach that considers a banking organization not only as a complex system with its internal organizational structure but also as an economic unit, based on which is influenced by a lot of external factors and, which is an integral part of the larger economic and social systems.

**Key words:** banking system; Basel Committee; currency relations; Interbank transfers of international settlement; Gradualist concept of macroeconomic equilibrium.

**For citation:** The main aspects of the activities of banks, problems in the conditions of the global economy, Journal of Business and Law, No. 3, 2022. p. 43-49.

ონული გამოცდილებისა და ევროკავშირის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის კომპლექსურ შესწავლასა და განზოგადებას.

საბანკო სისტემის განვითარების გლობალური ტენდენციების პირობებში ახალი ფინანსური პრო-

დუქტებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების მზარდი ნაკადის, მკაცრი ბანკთაშორისი კონკურენციისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის მუდმივი ცვალებადობის პირობებში, გადარჩენის აუცილებლობა ბანკებს აიძულებს სიღრმისეულად გადახედონ თავიანთი საქმიანობის თითოეულ მიმართულებას, განსაკუთრებით მართვის სისტემასა და საბანკო ტექნოლოგიებს.

ფინანსური არასტაბილურობის ზრდა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა ეკონომიკის საბანკო სექტორში, რომელიც ყველაზე მგრძობიარეა გარე ფაქტორების მიმართ. დღეისათვის სასაქონლო და ფინანსური ბაზრების მაღალი განვითარების პირობებში საბანკო სისტემების სტრუქტურა გართულებულია. გაჩნდა და ჩნდება ფინანსური დანესებულებების ახალი სახეობები, ახალი ტიპის საკრედიტო დანესებულებები კლიენტურის, მომსახურების უახლესი ინსტრუმენტები და მეთოდები. სწორედ გლობალიზაციის დროს იშლება ინსტიტუციონალური მიჯნები საბანკო და საფინანსო საქმიანობებს შორის. შედეგად, საფინანსო ბაზრებზე არსებითად იცვლება კონკურენციის ხასიათი და ფორმები. გლობალიზაციის პირობებში ბანკების როლიდან საფინანსო სისტემაში, მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ორი ტიპის საფინანსო სისტემა. საფინანსო სისტემის პირველ ტიპს შეიძლება ეწოდოს ბანკებზე ორიენტირებული საფინანსო სისტემა. იგი დამახასიათებელია კონტინენტური ევროპისა და იაპონიისათვის. მისი განსაკუთრებული ნიშნებია ფინანსური ბაზრების განვითარების შედარებით დაბალი ხარისხი; მოსახლეობის დანაზოგები ძირითადად ტრანსფორმირდება მოკლევადიან და გრძელვადიან კრედიტებად კომერციული ბანკებისა და შემნახველი დანესებულებების ქსელის მეშვეობით; ფინანსური კონტრაქტების უმეტესი ნაწილი კონცენტრირებულია ბანკებში; მარეგულირებელი მოთხოვნები კომერციული ბანკებისადმი კაპიტალდაბანდების არჩევანთან დაკავშირებით შედარებით ლიბერალურია; სახელმწიფო საჭიროების შემთხვევაში მხარს უჭერს კომერციულ ბანკებს. ფინანსური სისტემის მეორე ტიპი იწოდება ბაზარზე ორიენტირებულ საფინანსო სისტემად. გავრცელებულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში და მისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ნიშნებია-კაპიტალის ბაზრების განვითარების მაღალი დონე; მოსახლეობა თავისი დანაზოგების უდიდეს ნაწილს თვითონ აბანდებს წარმოებაში არასაბანკო ფინანსური შუამავლების მეშვეობით; ბანკები ახდენენ კორპორაციათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ძირითადად მოკლევადიანი დაკრედიტების მიმართულებით; კომერციული ბანკის დაბანდებათა პორტფელის მოცულობა მკაცრად შეზღუდულია; სახელმწიფო არ ახდენს კომერციული ბანკების მხარდაჭერას და არ ერევა მის საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, ბანკები იძულებულნი არიან კონკურენცია აწარმოონ არა მარტო ერთმანეთთან, არამედ საფინანსო ბაზრის ყველა სეგმენტში-სადაზღვევო, საინვესტიციო ფონ-

დებთან, საფინანსო კომპანიებთან, რეზიდენტებთან და არარეზიდენტებთან და სხვ. აქვე აღსანიშნავია, რომ გლობალური კრიზისები ასევე არსებითად ცვლის მაკროეკონომიკური წონასწორობის გრადუალისტური კონცეფციის პრინციპებს, რაც კრიზისულ გარემოში სახელმწიფოს ფუნქციების მნიშვნელოვან ტრანსფორმირებას მოითხოვს.

ეკონომიკის მაკროეკონომიკური ერთ-ერთი სფერო, რომელმაც რთული და წინააღმდეგობრივი პერიოდი გამოიარა და სხვა სფეროებისაგან განსხვავებით, მაღალ შედეგებს მიაღწია, არის საბანკო სისტემა. სწორედ საბანკო სექტორი წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ დარგს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას განსაზღვრავს. გლობალური ეკონომიკის პირობებში წარმოდგენილია ფულად-საკრედიტო სისტემის აქტიური ფუნქციონირების გარეშე. საბანკო სისტემა უშუალო ზემოქმედებას ახდენს გლობალური ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროზე და უმნიშვნელოვანესწილად განსაზღვრავს მისი განვითარების ვექტორს.

კომერციული ბანკების ეფექტიანი ფუნქციონირება მიიღწევა სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელებით. ასეთი დაგეგმვის შედეგს უნდა წარმოადგენდეს ხანგრძლივი სამომავლო, გრძელვადიანი მიზნების დასადგენად წინადადებების მომზადება და მიმდინარე საქმიანობის გეგმის პროექტის შემუშავება მათი რეალიზაციის მიმართულებათა ჩვენებით. ამასთან, სტრატეგიული დაგეგმვა თავისთავად კომერციული ბანკისათვის მოგების მომტანი არ არის. ოპტიმალურად შემუშავებული სტრატეგიის პირობებშიც კი ბანკმა შეიძლება მუშაობის შედეგებით წარმატებებს ვერ მიაღწიოს მოტივაციის, ორგანიზაციის, კონტროლისა და ზოგადად, მენეჯმენტში დაშვებული შეცდომების გამო. ამიტომ სტრატეგიული დაგეგმვა ხელს უწყობს ბანკის საქმიანობის მკაცრ კოორდინაციას, მოითხოვს მიზნის ზუსტად დასმას.

საბანკო მომსახურებათა რაოდენობის ზრდა, საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების არეალის გაზრდა ძირითადად გამოწვეულია კონკურენციის გაზრდით, ტექნოლოგიური ცვლილებებით საბანკო სფეროში; მომსახურებათა განხორციელების პრინციპულად ახალი ფორმების დანერგვით, ფინანსურ საკითხებში კლიენტების ინფორმირებულობის ამაღლებით.

კომერციულ ბანკებში, საბანკო პროდუქტის სპეციფიკის გამო, რისკი აუცილებელი და მუდმივად თანმდევი მოვლენაა. ბანკებში მსჯელობა უნდა იყოს რისკის არა მთლიანად განეიტრალებაზე, არამედ მისი წინასწარი განჭვრეტისა და მინიმალურ ოდენობამდე შემცირების შესახებ. ბანკებში რისკი წარმოშობის მიხედვით იყოფა საგარეო და საშინაო რისკებად. საგარეო რისკებია, რომლებიც დაკავშირებული არ არის ბანკის ან მისი კლიენტის საქმიანობასთან; საშინაო რისკებს მიეკუთვნება სავალუტო, საპროცენტო, საბაზრო, საკრედიტო რისკები, ასევე დეპოზიტების ფორმირებასთან დაკავში-

რებული ზარალი და სხვ. საბანკო რისკებიდან ყველაზე გავრცელებულია საკრედიტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია მსესხებლის მიერ კომერციული ბანკის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან. საკრედიტო რისკის შემცირების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებებიდან გავრცელებულია მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასება, ერთ მსესხებელზე გასაცემი კრედიტის მოცულობის შემცირება, კრედიტების დაზღვევა, საკმარისი უზრუნველყოფის მოზიდვა, სადისკონტო სესხების გაცემა და ა.შ.

საერთოდ, საბანკო დანესებულების ყოველმხრივი შეფასება მოითხოვს მისი ყველა მსხვილი განყოფილების სრულ ანალიზს. ასეთი კვლევები საკმაოდ კაპიტალტევადია

და მოითხოვს მნიშვნელოვან დროით დანახარჯებს ცალკეულ ქვედანაყოფთან დაკავშირებული რისკების კვლევას და მის საფუძველზე მთლიანობაში ბანკის საიმედოობის ხარისხის შეფასებას. დღეისათვის ასეთი კვლევები გამოიყენება ჰოლანდიისა და დიდი ბრიტანეთის საზედამხებველო ორგანოების მიერ. მაგალითად, ჰოლანდიაში დანერგილი ბანკების შეფასების სისტემა RAST ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: საკრედიტო დანესებულების საერთო აღწერა და ფინანსური ანალიზი არსებული ანგარიშგებისა და ადგილზე ბოლო გამოკვლევების შედეგების მიხედვით; ბანკის დაყოფა მსხვილ მმართველობით დანაყოფებად და საქმიანობის სახეებად; რისკებისა და ცალკეული დანაყოფების მართვის შეფასება; მაჩვენებლების აგრეგირება და ანგარიშგებების შედგენა. დიდი ბრიტანეთის სისტემა RATE ბანკების რისკებს ასევე აფასებს მთლიანობაში. იგი გულისხმობს რისკების კატეგორიების გამოყოფას მთლიანად საკრედიტო დანესებულებისათვის.

საბანკო სისტემის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის შეუქცევადმა პროცესებმა დღის წესრიგში ასევე დააყენეს საბანკო ზედამხებველობის ერთიანი პრინციპების საერთაშორისო დონეზე უნიფიც-

ირების საკითხი. ამ მიზნით შექმნილი „საბანკო ზედამხებველობის ბაზელის კომიტეტი“-ს (შვეიცარია) მთელი საქმიანობა მიმართულია სწორედ ქმედითი საბანკო ზედამხებველობის საბაზო პრინციპების შემუშავებისა და ბანკებისათვის სხვადასხვა რეკომენდაციების შეთავაზებისაკენ. სწორედ საბანკო სისტემის ზედამხებველობისა და რეგულირების ეფექტიანი სისტემა აუცილებლად გულისხმობს ცენტრალური ბანკის პასუხივმგებლობისა და მიზნების მკაფიოდ განსაზღვრას, რომელიც მას მინიჭებული აქვს კანონმდებლობით.

საქართველოს ეროვნული ბანკი ეყრდნობა ბაზელის მეთოდოლოგიას და მის მიერ შემოთავაზებულ კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებსა და სხვა მაჩვენებელთა მნიშვნელობას. ფინანსური სილთულებებისას კარგად კაპიტალიზებული ბანკები, დიდი ალბათობით, შედეგადად გააგრძელებენ ოპერირებას ბაზარზე. ასევე ბანკების მიმართ ნდობის კრიზისის პირობებში, სწორედ ბანკების ჯანსაღი ლიკვიდობის პოზიცია და ბუფერები არის მათი სირთულეების შემამსუბუქებელი (იხ. ცხრილი).

Tier I Capital-ბანკის ძირითადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შენონილი აქტივებია. იგი არის ბანკის მფლობელობაში არსებული კაპიტალი, რომელიც გამოიყენება ტრანზაქციებისათვის (ინვესტირება, ვაჭრობა, სესხის გაცემა). ბანკის პირველადი კაპიტალი (Tier I) არის საზედამხებველო კაპიტალის ძირითადი წყარო, რომელიც უნდა შეადგენდეს საზედამხებველო კაპიტალის არანაკლებ 50 პროცენტს. ეს კაპიტალი საშუალებას აძლევს ბანკს გაუმკლავდეს ფინანსურ სიძნელეებს, ვინაიდან იგი სარეზერვო კაპიტალს წარმოადგენს. პირველადი კაპიტალი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: ჩვეულებრივი აქციები გამოსყიდულის გამოკლებით; არაკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქციები გამოსყიდულის გამოკლებით; აქციების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები; სარეზერვო ფონდი, რომელიც შექმნილი უნდა იყოს წინა წლების გაუნაწილებელი მოგებიდან; წინა წლების გაუნაწილებელი

**ბაზელი III კაპიტალის მაჩვენებელთა გრადაცია**

მაჩვენებელი/წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
კონტრციკლური ბუფერი (CCB)				0.625%	1.25%	1.875%	2.50%	2.50%
ლიკვიდობის დაფარვის კოეფიციენტი			60%	70%	80%	90%	100%	100%
ძირითადი პირველადი Tier1 კაპიტალის კოეფიციენტი	4.50%	5.50%	6%	6%	6%	6%	6%	6%
ძირითადი კაპიტალის კოეფიციენტი		8%	8%	8%	8%	8%	8%	8%
საზედამხებველო კოეფიციენტი (ძირითადი კაპიტალის კოეფიციენტი + კონსერვაციის ბუფერი)		8%	8%	8.625%	9.25%	9.875%	10.50%	10.5%

მოგება(ზარალი). ბაზელ III-ის მიხედვით, ფინანსური ინსტიტუტი რომ ჩაითვალოს კარგად კაპიტალიზებულად, აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა უნდა იყოს მინიმუმ 6%. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით ბანკის გრადაცია შეიძლება შემდეგნაირად: კარგად კაპიტალიზებული, ადეკვატურად კაპიტალიზებული, არაკაპიტალიზებული, მნიშვნელოვნად არაკაპიტალიზებული, კრიტიკულად არაკაპიტალიზებული. რაც შეეხება საზედამხედველო კაპიტალს, იგი არის კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის, მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების/ზარალის განეიტრალებისა და სხვადასხვა რისკის თავიდან აცილებისათვის. ბანკის საზედამხედველო კაპიტალი შედგება პირველადი და მეორეული კაპიტალისაგან და უდრის პირველადი და მეორეული კაპიტალის ჯამს გამოკლებული საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვები.

უნდა აღინიშნოს, რომ საზედამხედველო კაპიტალის(კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი) მინიმალური მნიშვნელობა ბაზელ III-ის მიხედვით არის 10,5%. თუმცა საქართველოს ეროვნული ბანკი აღნიშნული მაჩვენებლის მინიმალურ მნიშვნელობას განიხილავს დაახლოებით 12%-იანი ნიშნულით. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რისკის მიხედვით შენონილი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შესაძლოა სრულყოფილად არ ასახავდეს ბანკების გადახდისუნარიანობას, რამდენადაც რისკის წონები შესაძლოა საზედამხედველო პოლიტიკის მიზნების მიხედვით იცვლებოდეს. ასევე შესაძლოა ყოველი კონკრეტული აქტივისთვის რისკის წონები განსხვავდებოდეს ბანკების მიხედვით.

ცენტრალური ბანკის მხრიდან საბანკო ზედამხედველობის საბოლოო მიზანია საბანკო-საკრედიტო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საბანკო სისტემაში სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობის მინიმუმამდე შემცირება და ამ გზით ბანკების მენაბრეთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების, საბანკო სისტემაში კონკურენტუნარიანობის პრინციპებისა და ცენტრალური ბანკის ინსტიტუციური ინტერესების მაქსიმალურად დაცვა.

ზემოთ ჩამოთვლილი სისტემები მიმართულია ბანკის მიმდინარე მდგომარეობის ანალიზისაკენ. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ბანკის მდგომარეობის შეფასება მომავალში, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს საგანგაშო მაჩვენებლების დროულად გასწორება ჯერ კიდევ იმ დროისათვის, სანამ ის არ გახდება კრიტიკული.

გლობალური ეკონომიკის პირობებში საბანკო სისტემაში პრობლემების განსაზღვრა დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან, ვინაიდან არ არსებობს სტატისტიკური მაჩვენებლების დროითი მწკრივები, რომლებიც გაადვილებდნენ ანალოგიურ სამუშაოებს. მაგალითად, წინა წლებში საბანკო პრობლემები დაკავშირებული იყო დეპოზიტების მასიურ გამოთხოვნასთან. როგორც იაპონიის, არგენტინის, ფილიპინების, თურქეთის საბანკო პრობლემებმა აჩვენეს, მეტი წილი თანამედროვე საბანკო პრობლემებისა ვითარდება ბან-

კების ბალანსებში პრობლემური აქტივების წარმოქმნის შედეგად და, როგორც წესი, ისინი არ არის დაკავშირებული დეპოზიტების გამოთხოვნასთან. დეპოზიტების მნიშვნელოვანი მოცულობის გადინების შემთხვევები დაკავშირებული იყო პრობლემური საბანკო აქტივების შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ეროვნული ვალუტისადმი ნდობის დაკარგვასთან.

კომერციულ ბანკებში სულ უფრო გამოიყენება სესხის მიმღების საბოლოო შეფასების მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს კლიენტის რეიტინგის განსაზღვრას. მსესხებლის შეფასების კრიტერიუმები თითოეული ბანკისათვის ინდივიდუალურია და დაფუძნებულია ბანკის გამოცდილებაზე, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. ერთ მსესხებელზე გასაცემი კრედიტის მოცულობის შემცირება მაშინ გამოიყენება, როდესაც კომერციული ბანკი დარწმუნებული არ არის კლიენტის რეალურ კრედიტუნარიანობაში. საკმარისი უზრუნველყოფის მოზიდვის მეთოდის გამოყენება კომერციულ ბანკს გაცემული სესხის დაბრუნებისა და პროცენტის მიღების გარანტიას აძლევს. საკრედიტო რისკისაგან თავის დასაღწევად ბანკი მოიზიდავს სესხის საკმარის უზრუნველყოფას, რაც მას ბანკის საკრედიტო ხელშეკრულებით მსესხებლის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების გარანტიას აძლევს. სადისკონტო სესხების გაცემას შედარებით ნაკლები დონით შეუძლია საკრედიტო რისკის შემცირება, სესხის გაცემის ასეთი წესი კრედიტის საფასურის მიღების გარანტიას აძლევს კომერციულ ბანკს.

საკრედიტო რისკი არის ძირითადი ვალისა და პროცენტის დაუბრუნებლობის რისკი. საკრედიტო რისკის შეფასების კრიტერიუმებია-მიმდინარე სანარმოო თუ სხვა საქმიანობის პროცესში გამომუშავებული ფულადი სახსრებით ვალის დაფარვის უნარი, მსესხებლის რეპუტაცია, საკუთარი კაპიტალის საკმარისობა და ის პირობები, რომელთა საფუძველზე ხორციელდება საკრედიტო გარიგება.

კომერციულ ბანკებში საკრედიტო პორტფელის ანალიზი გულისხმობს საკრედიტო

რისკის პოზიციებიდან სესხის სახეების შეფასებისათვის კრიტერიუმების შერჩევას, სესხების კლასიფიკაციას, საპროცენტო რისკის განსაზღვრას, იმ რეზერვის განსაზღვრას, რომელიც საკმარისი იქნება გაცემული სესხის დაგვიანებით დაფარვის გამო გამონეწეული ზარალის დასაფარავად და სხვ.

საზღვარგარეთულ საბანკო სისტემაში გამოიყენება სესხის სახის შეფასების ორი ძირითადი მეთოდი: დანომვრის და საბანკო სისტემებით. გასული პერიოდების საანგარიშგებო მონაცემების ბაზაზე საკრედიტო რისკის პროგნოზირებისათვის გამოიყენება საფინანსო კოეფიციენტების სისტემა. ერთ-ერთი მათგანი აგებულია საანგარიშსწორებო სალდოს მაჩვენებელზე, ხოლო მეორე - სისტემა შედეგების ანგარიშგების მაჩვენებლებზე. საფინანსო კოეფიციენტების ორივე სისტემა არა მარტო კლიენტის კრედიტუნარიანობის საერთო შეფასებას იძლევა, არამედ გამოყოფს ჩამოყალიბებულ ტენდენციებსაც.

გლობალური ეკონომიკის პირობებში ფინანსები იზიდავს ასევე სპეკულაციურ (პორტფელურ) კაპიტალსაც, რომლის შემოსვლაც აღიქმება საბანკო სისტემის პრობლემების დასაწყისად. ეს მოკლევადიანი კაპიტალი განვითარებად ქვეყნებში მიედინება მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა და არა გრძელვადიანი ეკონომიკური მოლოდინის გამო. ეს კაპიტალი არის ყველაზე ლიკვიდური და პირველი ტოვებს ადგილობრივ ფინანსურ ბაზარს მოახლოებული პრობლემის შემთხვევაში. თითქმის ყველა განვითარებად ქვეყანაში, რომელმაც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში განიცადა საბანკო კრიზისი, ეკონომიკური აღმავლობა და მისი ღრმა ვარდნა, სწორედ ამ ფაქტორთანაა დაკავშირებული.

პორტფელის ინვესტიციების შემოდინების ეფექტი გამოიხატება დაკრედიტების ზრდაში, რომელსაც მოჰყვება ისეთი მოვლენები, როგორცაა იმპორტზე მოთხოვნის ზრდა, საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობის გაუარესება, ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის გამკაცრება, საპროცენტო განაკვეთის ზრდა. ასეთივე ნეგატიური შედეგი გააჩნია ინვესტიციების გადინებას, ანუ ქვეყნიდან საბანკო კაპიტალის გადინებამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და საბანკო კრიზისების წარმოქმნა.

სწორედ გლობალური ეკონომიკის პირობებში ფინანსური ლიბერალიზაციის შედეგად საბანკო დანესებულებების საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნამ ბანკებს მისცა სრული თავისუფლება დამოუკიდებლად გადაენწყვიტათ ისეთი საკითხები, როგორცაა ვისზე და რა კრიტერიუმებით გასცენ სესხები, დაადგინონ კრედიტებზე და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები, სადა დაბანდონ მათ განკარგულებაში არსებული სახსრები.

ბანკებში სწორად მართვის ისეთი სისტემაა ჩამოსაყალიბებელი, რომელიც გაითვალისწინებს ბანკზე მომქმედ ყველა ფაქტორს, ანუ ბანკის მართვის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს სისტემური კომპლექსური მიდგომა, რომელიც საბანკო ორგანიზაციას განიხილავს არა მარტო რთულ სისტემად თავისი შინაგანი საორგანიზაციო სტრუქტურით, არამედ როგორც ეკონომიკურ სუბიექტს, რომელზეც გავლენას ახდენს მრავალი გარე ფაქტორი და, რომელიც უფრო გლობალური ეკონომიკური და სოციალური სისტემების განუყოფელი ნაწილია. ასევე მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორცაა ტექნოლოგიური რევოლუცია, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო საშუალებათა სფეროში სრულიად ახალი, მრავალფეროვანი საბანკო ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვის პროცესი.

ამჟამად, კომერციული ბანკების ძირითადი პროდუქტი-კრედიტი რაოდენობრივ ცვლილებას განიცდის, რასაც საბოლოოდ, ზემოთ თქმულის ხასიათიდან გამომდინა-

რე, მიყვავართ ბანკების როლის ხარისხობრივ ცვლილებამდე, რადგანაც კრედიტი თავისუფალი კონკურენციის იარაღიდან მონოპოლისტური კაპიტალის იარაღად გარდაიქმნა.

ფინანსური სისტემის სტაბილურობა უშუალოდ არის დაკავშირებული საგადასახადო სისტემის სტაბილურობასთან, ანუ გადახდების საიმედო მექანიზმების არსებობით არის განპირობებული, რომელიც ბანკთაშორისო ურთიერთჩათვლებისა და გადახდების ოპერაციების უწყვეტად განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

კომერციული ბანკების ის სახსრები, რომლებიც ცენტრალური ბანკის ანგარიშებზეა, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების შესრულების შესაბამისად ჩაირიცხება. ზემოთ აღნიშნული სახსრები არა მარტო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების, არამედ საგადასახადო სისტემის საიმედო ფუნქციონირებასაც უზრუნველყოფს.

ამავე დროს აღნიშნული სახსრები საჭიროების შემთხვევაში გადახდებში შეფერხებების აღმოფხვრისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა, გამართული და ეფექტიანად ფუნქციონირებადი საგადასახადო სისტემა ფულის მიმოქცევის დაჩქარებას უწყობს ხელს.

ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის სწორედ საგადასახადო სისტემის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა მეტად მნიშვნელოვან საქმიანობად გვესახება. კომერციული გარიგებების გადახდებში შეყოვნებები იმავდროულად ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე აისახება. აღნიშნული გარემოების თავიდან აცილების მიზნით არის სპეციალური საკლირინგო პალატები, რომლებიც ურთიერთ მოთხოვნების ჩათვლების გზით უნაღდო ანგარიშსწორებას ახორციელებენ. ანგარიშსწორების სისტემის ასეთი სახით ორგანიზება მათ დაჩქარებასა და გაიაფებას უწყობს ხელს. კლირინგული ანგარიშსწორების სისტემის გაუმჯობესება ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის მეშვეობით მოქმედების სფეროს გაფართოებას ითვალისწინებს.

სწორედ ასეთი სახის რისკის, რომელსაც სისტემურს უწოდებენ, ბანკის მიერ ურთიერთ გადახდების ჩათვლის სისტემის ორგანიზების ანუ კლირინგების, ან ცალკეული კერძო კლირინგული პალატების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების მეშვეობით არის შესაძლებელი.

გლობალური ეკონომიკის პირობებში კომერციული ბანკი თავის კლიენტებთან

მის განკარგულებაში რეალურად არსებული რესურსების ფარგლებში მუშაობს. ანუ იგი ყველა ოპერაციას მის საკორესპონდენტო ანგარიშებზე სახსრების ნაშთის ფარგლებში ახორციელებს. სპეციფიკური საბანკო ოპერაციების შესრულების შესაძლებლობა პასივების სტრუქტურით მკაცრად და დეტერმინირებული, რაც ბანკებისაგან თავიანთი რესურსების ფორმირების წყაროების არჩევასთან დაკავშირებით სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. სწორედ აქედან წარმოიქმნება რესურსებზე მძაფრი ბრძოლა და მათი დაბანდებისათვის უფრო მეტად მომგებიანი სფეროების მოძიება.

თანამედროვე სიტუაცია ხასიათდება იმით, რომ საბანკო რესურსების საერთო მოცულობაში საერთო-სახელმწიფოებრივი ფონდების წილი მნიშვნელოვნად

შემცირდა. ამიტომ ბანკები კომერციული დამოუკიდებლობისა და კონკურენციის პირობებში, საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული რესურსების ფორმირების საკითხებს დიდ დროს უთმობენ. კომერციული ბანკის რესურსები ჩვეულებრივად განისაზღვრება როგორც ბანკის განკარგულებაში არსებული საკუთარი და ნასესხები სახსრების ერთობლიობა და მის მიერ მათი აქტიური ოპერაციების განხორციელებისათვის გამოყენების შესაძლებლობა.

გლობალური ეკონომიკის ქვეყნებში ოთხმოციანი წლებიდან დაწყებული მსოფლიო ვაჭრობისა და კაპიტალის ნაკადების სწრაფი ზრდა წარმოადგენდა იმის მიზეზს, რომ ბევრი უმსხვილესი ფინანსური და საბანკო კორპორაცია, აგრეთვე ვაჭრობასა და წარმოებაში დასაქმებული ფირმები, თავიანთი განვითარების პერსპექტივებს მსოფლიო მასშტაბამდე გაფართოებას უკავშირებდნენ. ბიზნესისა და ფინანსების გლობალიზაციის საფუძველი გახდა: ტექნიკური პროგრესის მიღწევების - კომპიუტერიზაციისა და ტელეკომუნიკაციების დანერგვა, ინტერნეტიზაცია, ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში სახელმწიფოს ჩარევის მოცულობის შემცირება, კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების ზრდა. ყოველივე ეს უწყობდა ხელს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. თუმცა ბოლო -2007-2020 წლებში განვითარებულმა პროცესებმა -საერთაშორისო ვაჭრობის პირობების გაუარესება, საგარეო ვაჭრობის მოცულობის შემცირება 17%-ით, ხოლო ნაწილობრივი პრობლემების მქონე ქვეყნებისათვის ამ მაჩვენებელმა 4% შეადგინა.

2022 წელს განსაკუთრებით აქტუალური გახდა საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკთაშორისი გადარიცხვები.

ამერიკის შეერთებული შტატების ფედ-ის 2020 წლის 3 ნოემბრისა და 15 დეკემბრის გადაწყვეტილებების თანახმად, დამოუკიდებელი ექსპერტების აზრით, 2022 წლიდან იფეთქებს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. თუ გათვალისწინებული იქნება მსოფლიო ეკონომიკაში დაგროვებული დისბალანსები (უპირველეს ყოვლისა, ჯამურ მსოფლიო ვალს, რომელიც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების შეფასებით 300 ტრილიონ დოლარს აჭარბებს), ის გადააჭარბებს ომის შემდგომ ყველა კრიზისს და ალბათ, გადააჭარბებს კაპიტალიზმის ისტორიაში ყველაზე მძიმე მსოფლიო კრიზისს, რომელიც დაიწყო 1929 წელს. აქედან გამომდინარე, საკვირველია ის, რომ ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელებს ჯერჯერობით არ გაუკეთებიათ რაიმე სახის მინიშნება თავიანთი რაოდენობრივი შერბილების პროგრამების შეზღუდვაზე.

კომერციული ბანკისათვის რეალურად მოზიდული რესურსების ფარგლებში მუშაობა და თავისი ლიკვიდურობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ იგი საქმიანობის შედეგებზე სრული ეკონომიკური პასუხისმგებლობისა და მისი საქმიანობის ეკონომიკური მეთოდებით რეგულირების პირობებში ეკონომიკური დამოუკიდებლობის

მაღალ ხარისხს ფლობს.

საქართველოში ლიკვიდურობის უკმარისობის პრობლემები საბანკო სფეროში აღინიშნებოდა 2007-2008 წლებში. ბანკებს არ გააჩნდათ საკმარისი ოდენობით გრძელი ფული. ისინი იზიდავდნენ სახსრებს მოკლე ვადით, ხოლო განათავსებდნენ უფრო გრძელვადიან აქტივებში, რაც იწვევდა ვადიანობის მიხედვით აქტივებსა და პასივებს შორის მნიშვნელოვან წყვეტას. გარდა ამისა, ბანკების მიერ მოზიდული სახსრების წყაროები ხასიათდებოდნენ საკმაოდ დაბალი დივერსიფიკაციით და ვერ უზრუნველყოფდნენ საბანკო სექტორში მიმდინარე ზრდის ტემპების შენარჩუნებას საშუალოვადიან პერსპექტივაში. გარდა ამისა, პასივების სტრუქტურაც არ გამოიყურებოდა დამაკმაყოფილებლად. ბანკების საკუთარი კაპიტალის დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფდა მის ხარჯზე საკრედიტო ოპერაციების გაფართოებას.

ბანკების რესურსული ბაზა საკმაოდ არასტაბილური იყო. ქვეყანაში არ არსებობს კანონი გამოუთხოვადი ანაბრების შესახებ, ასევე, არ არსებობს მოსახლეობის ანაბრების სახელმწიფო დაზღვევის სისტემა, რის გამოც საომარი მდგომარეობის დროს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შიშმა საბანკო ანაბრები თითქმის გაანახევრა. ამგვარად, შეზღუდვები ლიკვიდობაში არსებობდა თვით საბანკო სისტემის შიგნით და ომი მხოლოდ მისი ამძრავი ფაქტორი აღმოჩნდა.

ეკონომიკური დამოუკიდებლობა ითვალისწინებს ბანკის საკუთარი და ნასესხები სახსრების თავისუფალ არჩევანს, გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგების განკარგვის შესაძლებლობას. ბანკი თავის ვალდებულებებზე მის კუთვნილებაში არსებული ყველა საშუალებებითა და ქონებით არის პასუხისმგებელი, რომლებზეც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყადაღის დადება არის შესაძლებელი. კომერციული ბანკი თავისი ყველა ოპერაციებისაგან წარმოქმნილ რისკს თავისთავზე იღებს.

თანამედროვე ეტაპზე ტექნოლოგიური რევოლუციისა თუ გლობალიზაციის ფონზე, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მდგრადობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად უნდა მივიჩნიოთ. ამ მიმართულებით სავალუტო უსაფრთხოების მაკროეკონომიკური ასპექტები ეროვნული უსაფრთხოების სისტემის შემადგენელი ნაწილია. სავალუტო უსაფრთხოება ისეთ მდგრადობას გულისხმობს, როდესაც გარანტირებული არის ეროვნული ინტერესების დაცვა, სავალუტო სისტემის დამოუკიდებელი ფუნქციონირება და თვითგანვითარება შინაგანი და გარეგანი პროცესების ყველაზე არახელსაყრელ პირობებშიც კი. შედეგად სავალუტო უსაფრთხოების პრობლემატიკის მოგვარება და გადანყვეყნა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას.

კომერციულმა ბანკებმა საკრედიტო რესურსებზე მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით დაგროვილი დანაზოგების მაქსიმალური მობილიზება უნდა განახორციელონ და მიმდინარე მოთხოვნების შეზღუდვის, მოქნილი დეპოზიტიური პოლიტიკისა და

თავიანთი კლიენტებისათვის საიმედოობის მაღალი გარანტიის უზრუნველყოფის საფუძველზე სახსრების აკუმულირების მიზნით საკმაოდ ეფექტური სტიმულირების მექანიზმები უნდა ჩამოაყალიბონ.

საბანკო სისტემების, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, მდგრადობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საფინანსო ბაზრების განვითარებულობა, ასევე ფინანსური კანონმდებლობის სრულყოფილობა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია საკუთრების უფლების დაცვა, კრედიტორების უფლებების დაცვა, ანაბრების დაზღვევა და სხვ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ფართო გადასახედიდან, საბანკო სისტემის პრაქტიკული როლი განისაზღვრება იმით, რომ იგი წარმართავს ქვეყნის გადახდებისა და ანგარიშსწორებათა სისტემას და(სხვა ფინანსურ შუამავლებთან ერთად) ახდენს მოსახლეობის დანაზოგების, როგორც დროებით თავისუფალი კაპიტალის, გადანაწილებას სხვა ეკონომიკურ სუბიექტებზე. საბანკო სისტემა თამაშობს წამყვან როლს ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ და ეფექტიან განვითარებაში.

უკანასკნელ წლებში განვითარებულ საბანკო სისტემაში პრობლემებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია არახელსაყრელმა საგარეო-ეკონომიკურმა ფაქტორებმა. ბანკებში პრობლემების მნიშვნელოვანი რაოდენობა გამოწვეული იყო ნავთობზე და იმპორტის სხვა საქონელზე ფასების ვარდნით. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საგარეო ვალის მომსახურების გაძვირებამ საერთაშორისო საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგად. კომერციულ ბანკებში პრობლემებს წინ უძღოდა განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვალების მკვეთრი ზრდა კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე სესხების გაძვირების შედეგად. საბაზრო რეფინანსირების გაძვირებამ და ეროვნული ვალუტის დევალვაციამ შეასუსტა ბანკების გადახდისუნარიანობა, რამაც, თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარა საგარეო დავალიანების პროცესს. კრიზისებმა ღრმა და ხანგრძლივი ხასიათი მიიღო, ვინაიდან მეტი წილი ქვეყნებისა ატარებდა პროინფლაციურ ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკას და არ ხორციელდებოდა ადეკვატური საბანკო ზედამხედველობა. თუმცა ბოლო პერიოდში შეინიშნება ეროვნული ვალუტის გამყარება. საქართველოს საბანკო-საფინანსო სექტორი გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა COVID-19 პანდემიური სიტუაციიდან შექმნილი გარემოებების გამო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პანდემიით გამოწვეული კრიზისის გამო ყველაზე მეტად ზარალობს მცირე და საშუალო ბიზნესი, თვითდასაქმებულები, შრომითი მიგრანტები, ლტოლვილები (დევნილები). არსებული გამოწვევები

მოითხოვს კარგად ორგანიზებული, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი და კოორდინირებული პოლიტიკის განხორციელებას. ასევე გასათვალისწინებელია ის გამოწვევები და შედეგები, რაც შეიძლება გამოიწვიოს უკრაინაში მიმდინარე სამომარმა მოქმედებებმა.

გლობალიზაციამ მსოფლიო დაახლოვა და შეამჭიდროვა ერთმანეთს. ერთ რეგიონში წარმოქმნილი პრობლემმა მალევე თითქმის მთელი პლანეტის პრობლემად შეიძლება იქცეს. როგორც სჩანს, ერთპოლუსიანი მსოფლიოს არსებობა დასრულდა და ის ძალიან მყიფე აღმოჩნდა. ამჟამად მიმდინარეობს ძალთა ახალი გადანაწილება.

გლობალური ეკონომიკის პირობებში თანამედროვე საბანკო სისტემის განვითარების ზემოთმოყვანილი ახალი გამოწვევები ახალ პრობლემებს იწვევს, რაც საბანკო-საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციებს უბიძგებს მაქსიმალურად გაითვალისწინონ განვითარების თანამედროვე ტენდენციები და წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად კონცენტრაცია განსაკუთრებით ორ სფეროზე-საბანკო მენეჯმენტსა და საბანკო ტექნოლოგიებზე გაამახვილონ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ასილაგაძე, ეკონომიკური დოქტრინები; თბილისი; 2010 წელი;
2. ვ. პაპავა, გლობალიზაციის ზოგიერთი მოდიფიკაციის შესახებ; თბილისი, 2022 წელი;
3. ი. კოვზანაძე. გ კონტრიძე; თანამედროვე საბანკო საქმე. თბილისი.2022 წელი.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2014 წლის 27 მარტის N32/94 ბრძანება „კომერციული ბანკების რისკების შეფასების საერთო პროგრამის მოქმედების წესის დამტკიცების თაობაზე“;
5. საქართველოს ეროვნული ბანკი. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში. თბილისი, 2020 წელი;
6. ო. ნადარაია, ა. ბლუაშვილი, მ. ჩაჩანიძე, თ. კორძია. COVID-19-ის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკასა და საბანკო სისტემაზე. თბილისი კაპიტალი, თბილისი, 2020 წელი;
7. USAID-აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; EPRC-ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (2020-2021წ.) ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ხედვა 2022-2025 წწ.);
8. ჟორჯიკაშვილი, ბაზელი-III-ის სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების ეფექტიანობის შეფასება საქართველოსათვის. თბილისი; 2022 წელი.